თელავის მუნიციპალიტეტის 2017 წლის მოწვევის საკრებულოს საქმიანობის შეფასება

საერთაშორისო გამჭვირვალობა
საქართველო

2020 წელი

სარჩევი

შესავალი 3

თავი 1. ძირითადი მიგნებები 4

კონტროლის ფუნქციის განხორციელება 4

სამართლებრივი აქტების მიღების პროცესი 4

ანგარიშვალდებულება 4

თავი 2. ზოგადი ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის შესახებ 6

თავი 3. საკრებულოს მიერ არჩეული თანამდებობის პირები 7

თავი 4. საკრებულოს ფრაქციებისა და კომისიების საქმიანობა 8

საკვლევ პერიოდში საკრებულოს ფრაქციები შედგენილი იყო შემდეგი სახით: 8

საკრებულოსა და ბიუროს სხდომები 9

საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები 9

თავი 5. გენდერული თანასწორობის საბჭო 10

თავი 6. მოქალაქეთა ჩართულობა 11

თავი 7. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯები 12

თავი 8. არასრულად შევსებული დეკლარაციები და შეუთავსებელი საქმიანობა 13

რეკომენდაციები 15

შესავალი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ” შეაფასა თელავის მუნიციპალიტეტის 2017 წლის მოწვევის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს საქმიანობა.

ანგარიში ეფუძნება საკრებულოდან გამოთხოვილ ინფორმაციას, ჩვენი ორგანიზაციის დაკვირვებებს და მოიცავს 2017 წლის ნოემბრიდან 2019 წლის დეკემბრის ჩათვლით დროის მონაკვეთს.

თავი 1. ძირითადი მიგნებები

თელავის მუნიციპალიტეტის 2017 წლის მოწვევის საკრებულოს საქმიანობის კვლევის პროცესში გამოვლენილი ტენდენციები:

კონტროლის ფუნქციის განხორციელება

- თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აღმასრულებელ ორგანოზე და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურდიულ პირებზე სუსტ ზედამხედველობას ახორციელებდა და კონტროლი უმეტეს შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებდა;

- მერიის თანამდებობის პირები 2017 წლის მოწვევის საკრებულოს წინაშე გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშით არ წარმდგარან.

სამართლებრივი აქტების მიღების პროცესი

- 2017 წლის 14 ნოემბრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის პერიოდში გაიმართა საკრებულოს 51 სხდომა და 25 რიგგარეშე სხდომა. კვორუმის არარსებობის გამო საკრებულოს არცერთი სხდომა არ ჩაშლილა;

- ამავე პერიოდში საკრებულოს არ დაუმტკიცებია არცერთი ხელშეკრულება, რომელთა ღირებულება აღემატება ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს;

- კვორუმის არარსებობის გამო არცერთი კომისიის სხდომა არ ჩაშლილა.

- კახეთის მხარის რვა მუნიციპალიტეტს შორის თელავის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი ყველაზე აქტიურია, მუდმივად ახლდება და ანონსდება ღონისძიებები

- საკრებულოს სხდომების ვიდეო-ჩანაწერები რეგულარულად იტვირთება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია;

- მერიის თანამდებობის პირები 2017 წლის მოწვევის საკრებულოში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშით არ წარმდგარან;

- საკრებულოს თელავის მუნიციპალურ ორგანოებში აუდიტის ჩასატარებლად დამოუკიდებელი აუდიტორი არ მოუწვევია;

- სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიამ საკრებულოს წარუდგინა 12 სამართლებრივი აქტის პროექტი, ხოლო სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიამ - 3 სამართლებრივი აქტის პროექტი.

ანგარიშვალდებულება

- საკრებულოს წევრებმა საკრებულოს სხდომები ჯამში **167-ჯერ გააცდინეს.** ყველაზე მეტი გაცდენა უფიქსირდებათ: ლევან ოთიურიძეს - 25; ლევან მრელაშვილს - 13; ალექსანდრე კუპატაძეს - 11;

- 2018 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საკრებულომ გახარჯა 70,467.54 ლარის ღირებულების საწვავი;
- საკრებულოს დამოუკიდებელი აუდიტორი არ მოუწვევია;
- საკრებულოს მისი უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებული ცალკეული საკითხების შესასწავლად და შესაბამისი დასკვნების და რეკომენდაციების მოსამზადებლად, არ შეუქმნია სათათბირო ორგანოები და არ განუსაზღვრავს მათი საქმიანობის წესი;
- საკრებულოს ფრაქციების თანამდებობის პირებზე გაცემული შრომის ანაზღაურებამ 2018 წელს - 177,208.64 ლარი, ხოლო 2019 წელს 188,553.4 ლარი შეადგინა.

თავი 2. ზოგადი ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის შესახებ

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილი წესით ახორციელებს თვითმმართველობას თელავის მუნიციპალიტეტში, აგრეთვე კანონით დადგენილ ფარგლებში კონტროლს უწევს აღმასრულებელი ორგანოს - მერიის და მერიის თანამდებობის პირების საქმიანობას, ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და საკრებულოს რეგლამენტით მისთვის განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

საკრებულოს, მისი ორგანოებისა და თანამდებობის პირების უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საკრებულოს რეგლამენტი (შემდგომში – რეგლამენტი) და სხვა სამართლებრივი აქტები.

საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელშეწყობის, მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და საკრებულოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით, საკრებულო თავისი შეხედულებებისამებრ ქმნის კომისიას. თელავის საკრებულოში შექმნილია შემდეგი კომისიები:

1. სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისია - თავმჯდომარე, ნანა ხვისტანი;

2. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია - თავმჯდომარე, დავით გოგოშვილი;

3. სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია - თავმჯდომარე, ლევან კოჭლოშვილი;

4. ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისია - თავმჯდომარე, ალექსანდრე შათირიშვილი;

5. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისია - თავმჯდომარე, დავით ღაღანიძე.

თავი 3. საკრებულოს მიერ არჩეული თანამდებობის პირები

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ 2017 წლის 14 ნოემბერს აირჩიეს **არჩილ თხლაშიძე**. აღსანიშნავია, რომ არჩილ თხლაშიძე 2014 წლიდან 2017 წლის ჩათვლით იყო თვითმმართველი ქალაქის - თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე. ქალაქ თელავის საკრებულომ მხარი დაუჭირა თვითმმართველი ქალაქის გაუქმებას. ასე მოიქცა სხვა 6 თვითთმართველი ქალაქის საკრებულოც. ეს ცვლილება ნეგატიურად აისახა ძლიერი თვითმმართველობის ჩამოყალიბებისა და დეცენტრალიზაციის პროცესზე. თვითმმართველი ქალაქის სტატუსის გაუქმების შემდგომ არჩილ თხლაშიძე აირჩიეს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ.

თელავის მუნიციპალიტეტის 2017 წლის მოწვევის საკრებულოში 35 წევრიდან ერთს უფლებამოსილება შეუწყდა ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის გამო, ხოლო დარჩენილი 34 წევრიდან 22 არის თანამდებობის პირი.

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოქმედებს 7 ფრაქცია, კერძოდ:

1. „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ – 12 წევრი, თავმჯდომარე - ლევან ლილუაშვილი;
2. „ქართული ოცნება - მრეწველები“ – 3 წევრი, თავმჯდომარე - ტიტე დარეჯანაშვილი;
3. „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ – 3 წევრი, თავმჯდომარე - მაია მარკოზაშვილი;
4. „ქართული ოცნება - მწვანეები“ - 3 წევრი, თავმჯდომარე - გიორგი ჩაბრაშვილი;
5. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 3 წევრი, თავმჯდომარე - ალექსი ძულიაშვილი;
6. „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ – 3 წევრი, თავმჯდომარე - არჩილ თვალიაშვილი;
7. „ძლიერი სოფელი“ – 3 წევრი, თავმჯდომარე - ალექსანდრე კუპატაძე.

თავი 4. საკრებულოს ფრაქციებისა და კომისიების საქმიანობა

ფრაქციებიდან ყველაზე მეტი ინიციატივა წარადგინა „ქართულმა ოცნება - დემოკრატიულმა საქართველომ“ - 54, ხოლო ყველაზე პასიური ფრაქცია იყო „ძლიერი სოფელი“ 0 ინიციატივით.

საანგარიშო პერიოდში არსებული ინიციატივებისა და რეკომენდაციების რაოდენობა ფრაქციების მიხედვით ასეთია:

- “ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ – 54;
- “ქართული ოცნება - მრეწველები“ – 26;
- “ქართული ოცნება - მწვანეები“ – 17;
- “პატრიოტთა ალიანსი” - 10;
- “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” - 4;
- “ძლიერი სოფელი” - 0.

საკვლევ პერიოდში საკრებულოს ფრაქციები შედგენილი იყო შემდეგი სახით:

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“	12	ლევან ლილუაშვილი ზურაბ მუსაევი ბესიკ ქოჩიშვილი გიგა ორკოდაშვილი ნანა ხვისტანი ზურაბ ლილუაშვილი ლევან კოჭლოშვილი უჩა ჭოტიაშვილი ლევან მრელაშვილი ალექსანდრე შათირიშვილი დავით ღაღანიძე ნიკოლოზ მაისურაძე
ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“	3	ტიტე დარეჯანაშვილი ვასილ არაბული არჩილ თხლაშიძე
ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“	3	მაია მარკოზაშვილი გიორგი ქიზიყელაშვილი დავით გოგოშვილი
ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები“	3	გიორგი ჩაბრაშვილი გიგა მამუკელაშვილი გოჩა წაწალაშვილი

ფრაქცია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“	3	არჩილ თვალიაშვილი მიხეილ გრემელაშვილი იოსებ პარწიკანაშვილი
ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	3	ალექსი ძულიაშვილი ბაადურ რევაზიშვილი აბრამ მახარიაშვილი
ფრაქცია „ძლიერი სოფელი“	3	ალექსანდრე კუპატაძე ზურაბ ნაცარაშვილი ზაქარია გრიშიკაშვილი

ფრაქციებში საკრებულოს 30 წევრია გაწევრიანებული, საიდანაც ქალი მხოლოდ ორია.

საკრებულოსა და ბიუროს სხდომები

2017 წლის 14 ნოემბრიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში ჩატარდა:

- საკრებულოს 51 სხდომა და 25 რიგგარეშე სხდომა;
- 25 რიგგარეშე სხდომა გაიმართა საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივითა და მერის წინადადებით.

2017 წლის 14 ნოემბრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მუნიციპალურ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ იმსჯელა 28-ჯერ:

- 2017 წელს განხორციელდა 2 ცვლილება, ინიციატორი-მუნიციპალიტეტის მერი;
- 2018 წელს განხორციელდა 10 ცვლილება, ინიციატორი-მუნიციპალიტეტის მერი;
- 2019 წელს განხორციელდა 16 ცვლილება, ინიციატორი-მუნიციპალიტეტის მერი.

საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები

საკვლევ პერიოდში საკრებულოს მიერ ინიცირებულ იქნა 65 საკითხი.

კანონმდებლობის შესაბამისად, საკრებულოს სამართლებრივი აქტებია საკრებულოს დადგენილება და საკრებულოს განკარგულება. საანგარიშო პერიოდში თელავის საკრებულომ მიიღო 303 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აქედან 139 დადგენილება და 164 განკარგულება.

2017	2018	2019
25 დადგენილება	71 დადგენილება	43 დადგენილება
29 განკარგულება	69 განკარგულება	66 განკარგულება

თავი 5. გენდერული თანასწორობის საბჭო

თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭო შეიქმნა 2018 წლის მარტში. შექმნის დღიდან 2019 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით, გენდერულ საბჭოს:

- სამართლებრივი აქტების ანალიზი და ექსპერტიზა **არ** განუხორციელებია;
- გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა **არ** შეუმუშავებია;
- გენდერული თანასწორობის დარღვევის თაობაზე განცხადებები, დოკუმენტაცია და სხვა ინფორმცია **არ** განუხილავს;
- საკრებულოსთვის ანგარიში და ინიციატივები **არ** წარუდგენია.

ეს ინფორმაცია ცხადყოფს, რომ თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭო პრაქტიკულ საქმიანობას არ ახორციელებს. მასზე ნაკისრი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების რეალიზება არ ხდება. შესაძლებელია, ითქვას, რომ თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭო, შექმნის მიუხედავად, არ მუშაობს.

თავი 6. მოქალაქეთა ჩართულობა

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებზე დასწრება ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე, თუმცა, განვითარებადი ადგილობრივი თვითმმართველობის პირობებში მოქალაქეთა ჩართულობა არ არის დამაკმაყოფილებელი ხარისხის.

საკრებულოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით ბიუჯეტში პროგრამები გათვალისწინებული არ ყოფილა.

2017 წლის მოწვევის საკრებულოში არცერთი პეტიცია არ დარეგისტრირებულა. საანგარიშო პერიოდში თელავის მუნიციპალიტეტში დასახლების საერთო კრება არ ჩატარებულა.

თავი 7. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯები

საკრებულოს თანამდებობის პირებზე, საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეებზე და შტატგარეშე მოსამსახურეებზე გაცემულმა შრომის ანაზღაურებამ საანგარიშო პერიოდში, 2018 წლიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, **1,203,557.11 ლარი** შეადგინა :

	2018 წელი	2019 წელი
საკრებულოს თავმჯდომარე	37,200	37,200
თავმჯდომარის მოადგილე	33,600	33,600
კომისიის თავმჯდომარეები	102,000	102,136
ფრაქციის თავმჯდომარეები	95,439.55	139,981.4
ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეები	81,769.09	113,066.4
საკრებულოს აპარატის მოსამსახურეები	124,665.67	119,649
შტატგარეშე მოსამსახურეები	90,450	92,800
ჯამი:	**565,124.31 ლ**	**638,432.8 ლ**

- 2019 წელს, 2018 წელთან შედარებით, შრომის ანაზღაურება გაიზარდა **13%-ით**;
- საკრებულოს ფრაქციების თანამდებობის პირებზე გაცემული **შრომის ანაზღაურება** 2018 წელს 177,208.64 ლარია, ხოლო 2019 წელს - 253,033.4 ლარი;
- 2018 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საკრებულომ 70,467.54 ლარის ღირებულების **საწვავი გახარჯა**;
- საკრებულოს თანამდებობის პირებმა საზღვარგარეთ **მივლინებებში** 32,893.65 ლარი დახარჯეს, ხოლო ქვეყნის შიგნით - 965.5 ლარი;
- 2018 წელთან შედარებით, 2019 წელს საზღვარგარეთ მივლინებებში **5,769.61 ლარით მეტი** დაიხარჯა;
- ანგარიშო პერიოდში საკრებულოს **სატელეფონო ხარჯებმა** 10,747.18 ლარი შეადგინა, საიდანაც მხოლოდ ბოლო სამი თვის ხარჯია 4433.45 ლარი;
- საკრებულოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის **ავტომობილების რეაბილიტაციისთვის** საანგარიშო პერიოდში 8,392.04 ლარი დაიხარჯა;
- საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, გიგა ორკოდაშვილის განკარგულებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების ღირებულება 12,150 ლარია, ხოლო მისი რეაბილიტაციის ხარჯი 5,283.82 ლარია, რაც გარკვეულ კითხვებს ბადებს ხარჯების გონივრულობასთან მიმართებით.

თავი 8. არასრულად შევსებული დეკლარაციები და შეუთავსებელი საქმიანობა

თელავის საკრებულოში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს თანამდებობის პირთა მიერ ქონებრივი დეკლარაციის არასრულად, ხარვეზებით შევსების საკითხი. საკრებულოს 22 თანამდებობის პირიდან (საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე, ფრაქციის თავმჯდომარე და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე) დეკლარაცია 3 თანამდებობის პირს არასრულად აქვს შევსებული.

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის" თანახმად, პირი ვალდებულია, თანამდებობაზე დანიშვნიდან ორი თვის ვადაში სრულყოფილად შეავსოს დეკლარაცია, ასახოს ინფორმაცია საკუთარი და ოჯახის წევრთა ქონებისა და ეკონომიკური ინტერესების შესახებ, სამეწარმეო ორგანიზაციებში არსებული საკუთარი წილები მართვის უფლებით გადასცეს სხვა პირს და თანამდებობაზე დანიშვნიდან 10 დღის ვადაში დატოვოს სამეწარმეო ორგანიზაციის დირექტორის, ხელმძღვანელის პოზიცია.

ხარვეზები თელავის საკრებულოს თანამდებობის პირთა დეკლარაციებში:

ლევან ლილუაშვილი

ფრაქცია "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე

ლევან ლილუაშვილს დეკლარაციაში არ აქვს მითითებული, რომ ის არის შპს "ლ.მ.ს.ი"-ს 50% წილის მფლობელი და დირექტორი, ასევე,შპს "ლემაგის" 100% წილის მფლობელი და დირექტორი. კანონის მოთხოვნის მიუხედავად, მას ეს წილები მართვის უფლებით სხვა პირისათვის არ გადაუცია და არ დაუტოვებია დირექტორის პოზიცია.

ზურაბ მუსაევი

ფრაქცია "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე

ზურაბ მუსაევი რეგისტრირებულია ინდივიდუალურ მეწარმედ, თუმცა ეს ფაქტი დეკლარირებული არ აქვს.

ტიტე დარეჯანიშვილი

ფრაქცია "ქართული ოცნება - მრეწველების" თავმჯდომარე

ტიტე დარეჯანიშვილის მამა - ვაჟა დარეჯანიშვილი რეგისტრირებულია ინდივიდუალურ მეწარმედ, თუმცა დეკლარაციაში ეს ფაქტი არ არის მითითებული.

ალექსი ძულიაშვილი

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე

ალექსი ძულიაშვილს დეკლარაციაში არ აქვს მითითებული, რომ ის არის სს „ბრიზის" დირექტორი. კანონის მოთხოვნის მიუხედავად, მას აღნიშნული თანამდებობა არ დაუტოვებია.

რეკომენდაციები

კონტროლის განხორციელება:

- საკრებულოს წევრები უფრო აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი საზედამხედველო საქმიანობაში, კერძოდ უფრო ხშირად უნდა იყენებდნენ კონტროლის მექანიზმებს, გადადგან ქმედითი ნაბიჯები სახელმწიფო შესყიდვების პროცესის, მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების ზედამხედველობის მიზნით;

- აღმასრულებელ ორგანოთა საქმიანობის ზედამხედველობის სფეროში ასევე აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიები;

- საკრებულომ აქტიურად და კეთილსინდისიერად უნდა იმუშაოს მუნიციპალიტეტში ინტერესთა კონფლიქტის, თანამდებობრივი შეუთავსებლობის, საკრებულოს რეგლამენტის და ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტების გამოვლენაზე.

საკრებულოს სხდომები:

- თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უნდა დახვეწოს მუშაობის საორგანიზაციო მხარე, შეამციროს რიგგარეშე სხდომების რაოდენობა, რადგან აღნიშნული ხელს უშლის მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას, ინტერესთა ჯგუფების მობილიზებას, სხდომაზე განსახილველი საკითხებისთვის მომზადების შესაძლებლობას და სათათბირო ორგანოს გამჭვირვალობას.

ანგარიშვალდებულება:

- საკრებულოს ყველა წევრი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს და ესწრებოდეს საკრებულოსა და მისი კომისიების სხდომებს. საკრებულოს თითოეული წევრის მხრიდან სხდომის გაცდენის საპატიო თუ არასაპატიო მიზეზები უნდა იყოს გამორკვეული და სათანადო ღონისძიებებიც გამოყენებული;

- თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციები გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს, დეკლარაციების არასრულად შევსება კორუფციის საფრთხესაც შეიცავს. ამიტომაც აუცილებელია, რომ თანამდებობის პირებმა დეკლარაცია სრულად შეავსონ.

ფრაქციების საქმიანობა:

- მნიშვნელოვანია, რომ ფრაქციის საქმიანობა სარგებლის მომტანი იყოს შესაბამისი თვითმმართველობისათვის, ორიენტირებული იყოს მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაზრდაზე. ფრაქციები მნიშვნელოვანი კომპონენტია თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის გასაზრდელად, ადგილობრივი ინიციატივების მხარდასაჭერად და მოქალაქეთა საჭიროებებისა და პრობლემების ადვოკატირებისთვის, შესაბამისად, მოვუწოდებთ ფრაქციებს, აღნიშნული ინსტრუმენტები აქტიურად გამოიყენონ.

საკრებულოს ხარჯები:

- მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს მიერ გაწეული ხარჯები სრულ თანხვედრაში იყოს კანონმდებლობით მისთვის განკუთვნილი უფლებამოსილებების განხორციელებასთან;

- საკრებულომ მკაცრად უნდა აკონტროლოს როგორც უშუალოდ წარმომადგენლობითი ორგანოს, ასევე ზოგადად მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ხარჯები და ორიენტირებული იყოს ფინანსური რესურსების ეკონომიაზე.

პეტიცია:

- კანონმდებლობა თვითმმართველობებს აძლევს შესაძლებლობას პეტიციის საჭირო ხელმომწერთა რაოდენობა შეამცირონ მათთვის სასურველ ნებისმიერ ოდენობამდე. თვითმმართველობის კოდექსი აწესებს მხოლოდ ზედა ზღვარს - 1%, რაც ცალკეულ მუნიციპალიტეტებში მოქალაქეების დიდი ოდენობის გათვალისწინებით, შესაძლოა, რთულად შესასრულებელი მოთხოვნა იყოს.

- იმის გათვალისწინებით, რომ საანგარიშო პერიოდში საკრებულოში არცერთი პეტიცია არ დარეგისტრირებულა, მნიშვნელოვანია, რომ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულომაც შეამციროს პეტიციაზე ხელმომწერთა რაოდენობის ქვედა ზღვარი და 1% ნაცვლად დააწესოს 0.3% ან 0.5%, რაც გაუადვილებს დაინტერესებულ პირებს პეტიციის მომზადების პროცედურას.

დასახლების საერთო კრება:

- თელავის მუნიციპალიტეტში დასახლების საერთო კრება ჯერ არ ჩატარებულა. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულომ აამოქმედოს ჩართულობის ეს მექანიზმი, მიმართოს მერს მისი ჩატარების შუამდგომლობით. დასახლების საერთო კრების ჩატარება მუნიციპალიტეტისათვის აუცილებელია ყოველი მომდევნო წლის ბიუჯეტის უკეთ დასაგეგმად.

საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა:

- თელავის საკრებულო საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის კუთხით, კახეთის სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, უფრო ეფექტიანია, თუმცა გაცემული საჯარო ინფორმაციის ხარისხი დასახვეწია.